

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება
„მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის
საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში,
„მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება“ ღონისძიების
შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მზრუნველობას მოკლებულ პირთა (130) მოვლა-პატრონობა. ბიუჯეტი - 1 328 600 ლარი. ერთი დღის მომსახურება - 28 ლარი. ამასთან 2023 წლის 1 იანვარამდე 122 ბენეფიციარზე გაწეული, მაგრამ აუნაზღაურებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთი დღის მომსახურების საფასური შეადგენს 24 ლარს.

2. „მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება“ ღონისძიების მიზანია უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს ამ კატეგორიის მოქალაქეების თავშესაფრით (24 საათიანი), შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, მედიკამენტებით, უნიფორმით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და სამკერადი კვებით უზრუნველყოფას, დამტკიცებული მენიუს მიხედვით (თან ერთვის). ღონისძიებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიწოდებლებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან უპოვარი და მზრუნველობას მოკლებული ბენეფიციარები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში.

5. უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ.№10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს კარგად აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართი ბენეფიციართა განთავსებისათვის, შესაბამისი შენობა-ნაგებობა ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ან იჯარის შემთხვევაში - საიჯარო ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, ინფორმაცია

ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ მოწოდებული უნდა იქნეს ტექსტის სახით შესაბამისი ფოტო-სურათების, ნახაზების და ა.შ. თანდართვით. ფართის რაოდენობა საშუალოდ 3x5 კვადრატული მეტრი ერთ ბენეფიციარზე. შენობას უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, სველი წერტილები, კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო. მომსახურების გასაწევად უნდა ჰყავდეს შესაბამისი პროფილის სპეციალისტები: ექიმი, ექთანი, მოწყალეების და/ან ძმა. საჭიროების შემთხვევაში უნდა შეძლოს სხვადასხვა ვიწრო სპეციალისტის მომსახურება.

„მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში, „მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება“ ღონისძიების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია მერიის ვებ-გვერდზე www.batumi.ge

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0244) 24-63-02; 577 30 26 59; მარინე რუხაძე.